

# საკანონმდებლო მაცნა

**დღგ-ის დაბრუნების წესი**

გვერდი 1

**დაბროვებითი პენსია**

გვერდი 2

**შემოსავლების ტიპები და დაბროვებითი პენსია**

გვერდი 2-3

## ცვლილება კანონში

### ვეროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადასახდელისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს №322 ბრძანებით „გადასახდების ადმინისტრირების შესახებ“ მინისტრის მიერ 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციას დაემატა XIX<sup>3</sup> თავი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება იმ პირისათვის დღგ-ის დაბრუნების წესი და პირობები, რომელიც წარმოადგენს ვეროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადასახდელს, აგრეთვე კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც დღგ-ის თანხის დაბრუნების მიზნით დანიშნავს გადასხდელი. ვეროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ს გადასახდელისთვის დღგ-ს დაბრუნების შესახებ საკანონმდებლო ცვლილება სსკ-ში 2017 წლის დეკემბერში განხორციელდა, ხოლო ბრძანებაში ცვლილების შედეგად დამატებული თავი განმარტავს იმ პროცედურებს, რომელიც უნდა განხორციელდეს პროცესის შესასრულებლად.

აღნიშნული წესის მიხედვით, გადასხდელს უფლება აქვს დაიბრუნოს საქართველოში საქონლის, მომსახურების შეძენისას ან იმპორტირებისას გადახდილი დღგ-ის თანხა, თუკი მათ გამოიყენებს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში, ასევე თუ იგი არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით და მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში არ არის და მსგავსი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში საქართველოში დღგ-ის გადასახდელად რეგისტრირებული პირი, სსკ-ის შესაბამისად, უფლებამოსილი იქნებოდა, ჩაეთვალა გადახდილი დღგ.

განცხადება საგადასახადო ორგანოს შეიძლება წარედგინოს სამთვლიანი საანგარიშო პერიოდის ან კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო თვეში, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა იმ კალენდარული წლის დასრულებიდან, როცა განხორციელდა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია სსკ-ით დადგენილი წესით.

თუ შემოთ აღწერილი პირობებიდან რომელიმე დარღვეულია, შესაძლოა გადასხდელს უარი ეთქვას დღგ-ის თანხის დაბრუნებაზე.

## შინაარსი

- ▶ დღგ-ს დაბრუნების წესი და პირობები
- ▶ დაბროვებითი პენსია
- ▶ საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება
- ▶ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები
- ▶ შემოსავლები, რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან

დღგ-ის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს შემოსავლების სამსახურის უფროსი/ უფლებამოსილი პირი. გადაწყვეტილება მიიღება განცხადების რეგისტრაციის დღიდან ექვსი თვის ვადაში, ხოლო თანხის დაბრუნება ხდება უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე მოთხოვნილი დღგ-ის თანხის ჩარიცხვით გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. დასაბრუნებელი თანხის გადახდა ხდება ღირებში.

ბრძანება ძალაშია 2018 წლის 25 აგვისტოდან.

## დაბრუნებითი პენსია

საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული იქნა კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ (გამოქვეყნების თარიღი: 06.08.2018, #3303-რს).

კანონი არეგულირებს დაგროვებით პენსიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და მიზნად ისახავს, უზრუნველყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში აქტივების მართვა მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად.

დაგროვებით საპენსიო სქემაში განეწესება სავადგებულო ყველა დასაქმებულისთვის, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალის შემთხვევაში 55 წელი). ამ უკანასკნელთათვის დაგროვებით საპენსიო სქემაში განეწესება ნებაყოფლობითია. ასევე ნებაყოფლობითია სქემაში მონაწილეობა თვითდასაქმებულისთვის, თვითდასაქმებულის შემოსავლის ნაწილში.

რაც შეეხება პირებს, რომელთაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 40 წელი და არ სურთ სქემაში ჩართვა, ისინი უფლებამოსილნი არიან ამავე კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად გავიძენენ დაგროვების საპენსიო სქემიდან.

მათ ამისათვის წერილობით უნდა მიმართონ საპენსიო სააგენტოს, ავტომატური განეწესებიან 5 თვის ვადაში, მაგრამ არაუადრეს 3 თვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პირები დარჩებიან სქემის მონაწილეებად.

მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს ხელახლა განეწესონ დაგროვებითი საპენსიო სქემაში საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრული წესით.

მონაწილე დასაქმებულისა და მონაწილე თვითდასაქმებულის საპენსიო შენატანების დაფინანსებას ახორციელებენ დამსაქმებელი, დასაქმებული და სახელმწიფო კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით. დაფინანსება ხორციელდება შემდეგნაირად:

▶ დამსაქმებელი ხელფასის გაცემისას მონაწილე დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით

▶ დამსაქმებელი მონაწილე დასაქმებულის სახელით, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით

▶ მონაწილე თვითდასაქმებელი ახორციელებს საპენსიო შენატანს თავისი წლიური შემოსავლის 4%-ის ოდენობით

▶ სახელმწიფო მონაწილის სასარგებლოდ, მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხავს 2%-ს დასაქმებულის დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც ჯამურად არ აღემატება მონაწილის მიერ წლიური ხელფასის სახით ან/და თვითდასაქმებულის მიერ შემოსავლის სახით მიღებულ 24 000 ლარს, ან 1%-ს, თუ მონაწილის მიერ ხელფასის სახით ან/და თვითდასაქმებულის მიერ შემოსავლის სახით მიღებული თანხა 24 000 ლარიდან 60 000 ლარამდეა. სახელმწიფო საპენსიო შენატანს მას შემდეგ განახორციელებს, რაც საპენსიო სააგენტოს შეტყობინებით დადასტურდება, რომ მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აისახა საპენსიო შენატანები (შენატანი). სახელმწიფო არ განახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულის დასაბეგრი წლიური ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება 60 000 ლარს.

ყველა დასაქმებული, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალის შემთხვევაში - 55 წელი), ხდება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე 2019 წლის 1 იანვრიდან, მის მიერ პირველი ხელფასის მიღებისთანავე.

კანონი ძალაშია 2018 წლის 25 აგვისტოდან, ხოლო კანონის ის ნაწილები, რომლებიც უშუალოდ საპენსიო სქემაში მონაწილეობის დაწყებას არეგულირებს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან.

## ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

### საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი დაემატა „ბ<sup>3</sup>“ ქვეპუნქტი, რომელიც საშემოსავლო გადასახადისგან ათავისუფლებს ფიზიკური პირის მიერ მიღებულ დაგროვებით პენსიას, განხორციელებულ საპენსიო შენატანების და შესაბამისი სარგებლის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მონაწილე გადაწყვეტს საქართველოს სამუდამოდ დატოვებას და მოითხოვს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულების მიღებას ერთიანი გადახდით ან პროგრამული გატანით.

ცვლილება ძალაშია 2018 წლის 7 აგვისტოდან.

## ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები

სსკ-ში შესული ცვლილებით 101-ე მუხლის მე-3 ნაწილი დაემატა „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად არ განიხილავს დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელით და მის სასარგებლოდ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებულ შენატანებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაწილემ, რომელმაც საპენსიო ასაკს მიაღწია შენატანების განხორციელების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 5 წლისა, მიიღო საპენსიო აქტივები სრული ოდენობით, ან საპენსიო აქტივების გადაცემა მოხდა ერთიანი გადახდით, ან საპენსიო აქტივების გადატანა მოხდა მონაწილის მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე.

ცვლილება ძალაშია 2018 წლის 7 აგვისტოდან.

## შემოსავლები, რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 103-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატა „დ“ ქვეპუნქტი. იგი განსაზღვრავს, რომ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელით მის სასარგებლოდ საქონლით ანგარიშზე განხორციელებული ისეთი შენატანები არ განიხილება შემოსავლად, რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაწილემ, რომელმაც საქონლით ასაკს მიაღწია შენატანების განხორციელების დანების თარიღიდან არაუგვიანეს 5 წლისა, ან საქონლით აქტივების გადაცემა მოხდა ერთიანი გადახდით, ან საქონლით აქტივების გადატანა მოხდა მონაწილის შემკვიდრის ინდივიდუალურ საქონლით ანგარიშზე.

ცვლილება ძალაშია 2018 წლის 7 აგვისტოდან.

## ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა. კონკრეტულად, მოცემულია ინფორმაცია ახალ საქონლით სქემასა და დღგ-ის დაბრუნებასთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. გთხოვთ, მიმართოთ ბიძიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად.


### მიხეილ ენუქიძე

MEnukidze@bdo.ge

### დავით გელაშვილი

DGelashvili@bdo.ge

▶ ნაიკითხეთ მეტი [www.bdo.ge](http://www.bdo.ge)





ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ შპს „ბიდიო“ პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს „ბიდიო“, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შემლუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო საგაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.